



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 657

28 დეკემბერი
“ --- ” ----- 2023 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. №8, №17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. №7, №7ა, №9, №22, №24, №26, №28, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის №23.1952.2180 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. №8, №17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. №7, №7ა, №9, №22, №24, №26, №28, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული 01232843719-67; (№01232903466-67; №01233043748-67; №01233053512-67; №01233174152-67; №01233323805-67; №01233343593-67; №01233394160-67; №01233463941-67; №01233493907-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.1952.2180 18 / დეკემბერი / 2023 წ.

„ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 11 ოქტომბერს N01232843719-67 (N01232903466-67; N01233043748-67; N01233053512-67; N01233174152-67; N01233323805-67; N01233343593-67; N01233394160-67; N01233463941-67; N01233493907-67) განცხადებით მიმართა ნოდარ გიორგაძემ (პ/ნ: 521015/901) და მოითხოვა „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ბეშენოვას ქუჩა N9/ლიპტოვის ქუჩა N8; ქალაქი თბილისი, ბეშენოვას ქუჩა N22, N24, N26; N28, N30; ქალაქი თბილისი, უცნობ გმირთა ქუჩა, N7, N7ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.21.001.522; N01.12.21.001.047; N01.12.21.001.524; N01.12.21.001.534; N01.12.21.001.210; N01.12.21.001.212; N01.12.21.001.525; N01.12.21.001.209; N01.12.21.001.179; N01.12.21.001.538; N01.12.21.001.523). საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 239 294,0 კვ.მ. აქედან კორექტირება ეხება მხოლოდ 223 692 კვ.მ.-ს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის კორექტირებაც განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ოქტომბრის N318 განკარგულებით.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

სრული საპროექტო არეალისაგან ცვლილება არ ეხება სექტორ N1-სა და N2-ს, დანარჩენი სექტორები განიცდიან სხვადასხვა სახის ცვლილებას, მათი საპროექტო არეალი შეადგენს 223 692 კვ.მ.

წარმოდგენილი კორექტირება ეხება შენობა-ნაგებობების გეგმარების, განთავსების არეალების, კონფიგურაციების და სართულიანობების დაზუსტებას. საპროექტო არეალში მდებარე ცენტრალური გზის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე არეალში (სექტორები 3,4,5,7,8) შეცვლილია შენობების კონფიგურაციები



და გეგმარება. აღნიშნულ არეალში განთავსდება სკოლამდელი დაწესებულება, სკოლა, სამედიცინო ცენტრი. (სექტორი 9-10) შეცვლილია შენობათა რაოდენობა, კონფიგურაციები და სართულიანობა. აღნიშნულ სექტორებში გათვალისწინებულია მრავალფუნქციური ცენტრი, სასტუმრო, აპარტ-სასტუმრო, სპორტულ-გასართობი ცენტრი, კვების ბლოკი და სხვ. ასევე, მე-11 სექტორში (676 კვ.მ) უქმდება არსებული შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი გამოყენებული იქნება საგზაო ინფრასტრუქტურისთვის.

კორექტირებული ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

სექტორი N3: რზ-3 - 7 214 კვ.მ.

$კ1=0,3=2452,7$ კვ.მ;

$კ2=2,5=18323,5$ კვ.მ;

$კ3=0,6=4328,4$ კვ.მ;

სამედიცინო-სარეაბილიტაციო სასტუმრო;

სართულიანობა და სიმაღლე: 11 სართული. 37მ.

სექტორი N4: რზ-3 - 67 784 კვ.მ.

$კ1=0,3=23046,5$ კვ.მ;

$კ2=0,8=56938,5$ კვ.მ;

$კ3=0,6=40670,4$ კვ.მ;

სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გასართობი ცენტრი, სასტუმრო;

სართულიანობა და სიმაღლე: 7 სართული. 50მ.

სექტორი N5: რზ-3 - 22 007 კვ.მ.

$კ1=0,4=9683,0$ კვ.მ;

$კ2=0,7=16285,1$ კვ.მ;

$კ3=0,6=13204,2$ კვ.მ;

სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გასართობი ცენტრი, კვების ბლოკი, აპარტ-სასტუმრო;

სართულიანობა და სიმაღლე: 4 სართული. 6მ.

სექტორი N6: ტზ-1 - 5 894 კვ.მ.

$კ1; კ2; კ3=0,1=589,4$ კვ.მ;

საგზაო ინფრასტრუქტურა;

სექტორი N7: რზ-3 - 7 397 კვ.მ.

$კ1=0,3=2514,9$ კვ.მ;

$k_2=2,2=16569,2\text{კვ.მ.}$

$k_3=0,6=4438,2\text{კვ.მ.}$

აპარტ-სასტუმრო;

სართულიანობა და სიმაღლე: 11სართული. 37მ.

სექტორი N8: რზ 3 12 271 კვ.მ.

$k_1=0,3=4172,1\text{კვ.მ.}$

$k_2=0,5=6626,3\text{კვ.მ.}$

$k_3=0,6=7362,6\text{კვ.მ.}$

სკოლამდელი დაწესებულება და სკოლა; სამედიცინო ცენტრი;

სართულიანობა და სიმაღლე: 3სართული. 75მ.

სექტორი N9: რზ-3 - 24 373 კვ.მ.

$k_1=0,5=13161,4\text{კვ.მ.}$

$k_2=0,9=22910,6\text{კვ.მ.}$

$k_3=0,6=14623,8\text{კვ.მ.}$

ფუნქციები: სასტუმრო; აპარტ-სასტუმრო; მრავალფუნქციური ცენტრი; გასართობი ცენტრი; მაღაზიები; ბუტიკები; კვების ბლოკი და სხვა...

სართულიანობა და სიმაღლე: 8სართული. 217,5მ.

სექტორი N10: რზ-3 - 76 076 კვ.მ.

$k_1=0,4=33473,4\text{კვ.მ.}$

$k_2=0,7=56296,2\text{კვ.მ.}$

$k_3=0,6=45645,5\text{კვ.მ.}$

სასტუმრო; აპარტ-სასტუმრო; მრავალფუნქციური ცენტრი; გასართობი ცენტრი; მაღაზიები; ბუტიკები; კვების ბლოკი და სხვა...

სართულიანობა და სიმაღლე: 8სართული. 217,5მ.

სექტორი N11: რზ-3 - 676 კვ.მ.

k_1 ; k_2 ; $k_3=0,6=405,6\text{კვ.მ.}$ საგზაო ინფრასტრუქტურა

საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 18 დეკემბრის N01233523042 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 18 დეკემბრის N01233523347 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01232843719-67 (N01232903466-67; N01233043748-67; N01233053512-67; N01233174152-67; N01233323805-67; N01233343593-67; N01233394160-67; N01233463941-67; N01233493907-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) ირაკლი ხმაღაძეს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კანა კალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01233523042
თარიღი: 18/12/2023

2023 წლის 15 დეკემბრის N 01233493907-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.12.21.001.047, 01.12.21.001.524, 01.12.21.001.534, 01.12.21.001.525, 01.12.21.001.522, 01.12.21.001.210, 01.12.21.001.523, 01.12.21.001.209, 01.12.21.001.179 და სხვა) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია, ავტობუსების გაჩერება მდებარეობს უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის წინ და გააჩნია რეზერვი. ამავე დროს, ახალი საავტობუსო ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორიაზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა. მიმდებარე ქუჩების უმეტესობას ტროტუარი არ გააჩნია, თუმცა არსებული გზის პარამეტრები იძლევა დამაკმაყოფილებელი საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწყობის საშუალებას, სადაც ქვეითი შეძლებს უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილებას საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწყობის გეგმის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01233523347**
თარიღი: **18/12/2023**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 15 დეკემბრის №01233493907-67, 18 დეკემბრის №19/01233521318-18 და 12 დეკემბრის 19/0123346921-18 განცხადებები, რომლებიც ეხება ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.12.21.001.522; 01.12.21.001.524 და მიმდებარედ; საპროექტო ფუნქციური ზონა: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 61 ძირი (ს/კ: **01.12.21.001.522** - №25;26; 27; 28; 62; ს/კ: **01.12.21.001.524** - №59; 65; 89; ს/კ: **01.12.21.001.209** - №89, 93,94, 103,105, 109, 116; ს/კ: **01.12.21.001.210** - №100, 277, 282,283,284,285,286,293,294,295, 312, 313, 316, 317, 323, 324, 344, 345, 358, 371, 375, 376, 378, 379, 399, 400, 461, 510, 517, 519, 528, 568, 569, 570, 571, 609, 617. ს/კ: **01.12.21.001.047**- №17,18,19,20,21,22,33,43,44) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11- 58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და არცერთი მათგანის დიამეტრი არ აღემატება 12 სმ-ს მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 80 ძირი (ს/კ: **01.12.21.001.522** - №21; 22; 23; 24; 44; 45; 46; 47; 54; ს/კ: **01.12.21.001.524**- №100; 101, 107, 108, 109, 117, 118, 119; 120, 121, 120,121,122,123,124,125; ს/კ: **01.12.21.001.209** - №68,80,81,82,84,85,86,87,88, 90,91, 95,96,97,98,99,100,101,102, 104, 106; ს/კ: **01.12.21.001.210** - №126,127,155,156,278,289,296,297,298,300,301,325,448,449,450,451,452,453,454,459,460,462,463,464,509, 514,515, 558, 573, 577,606, 613; ს/კ: **01.12.21.001.538** - №15,46) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/ავარიული/ფაუტი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 23 ძირი (ს/კ: **01.12.21.001.522** - №5; 131; ს/კ: **01.12.21.001.524** - №77; ს/კ: **01.12.21.001.209** - №64; ს/კ: **01.12.21.001.210** - №86, 87, 92, 96,97,99, 113, 299, 402,403, 425, 508, 581, 605, 608, 610,611, 616; ს/კ: **01.12.21.001.525** - №86;) ზეხმელი/ხმობადი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 287 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ

დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა(ს/კ: **01.12.21.001.522** - №41; 42; 43; 69; 70; 71;72; 73; 74; 75; 76; 77; 78; 79; 80; 81; 82; 83; 84; 85; 86;116; 117; 118; 119;120;121; 122;123; 124; 125; 126; 127; ს/კ: **01.12.21.001.524** - №16; 17; 23; 24; 25; 26; 27; 28; 50; 52;54; 55; 56; 57; 58; 60; 61; 62; 63; 64; 68; 70; 71; 72; 73; 76; 78; 79; 80; 81; 82; 83; 87; 88; 102; 110; 111; 112; 113; 114; 115; 116; ს/კ: **01.12.21.001.209** - №3,4,5,6, 8, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 117, 118; ს/კ: **01.12.21.001.210** - №89, 90, 91, 93, 94, 95, 98, 110, 111, 112, 114, 115, 116, 117, 118, 119, 124, 125, 128, 153, 154, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 208, 209, 270, 276, 279, 281, 326, 401, 446, 447, 505, 506, 507, 511, 512, 513, 516, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526, 527, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 538, 544, 547, 548, 551, 552, 553,554,555,556,557,559,560,561,562,563,564,565,572,579,584,586,587,588,589,590,591,592,593, 594,595,596,597,598,599,600,603,615,618,619,622; ს/კ:**01.12.21.001.525** №16,17,18,19,71; ს/კ:**01.12.21.001.538** - №17,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36; ს/კ:**01.12.21.00.047**- №23,24, 30,31, 37,38, 45,46,47,48,49,50,51,52,53,54) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 287 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 152 ძირი (ს/კ: **01.12.21.001.522** - 1;2; 3;4; 6; 17; 18; 19; 20; 29; 30; 31; 32; 33; 53; 58; 59; 60; 61; 128; 129; 130; 132; ს/კ: **01.12.21.001.524** - 49; 53; 66; 67; 69; 84; ს/კ: **01.12.21.001.209** -1,2; 7,19,20, 62,63,66,67,92; ს/კ: **01.12.21.001.210**- 103,104,105,106,107,108,109, 176,177,178, 267,268,269, 271,272,273,274,275,280,308,311,318,319,320,321,322,327,334,335,342,343,356,377,380,392,393, 395,406,407, 424,426,427,428,429,443, 505,506,507, 518,585, 601,602,604, 607,612, 614; ს/კ: **01.12.21.001.525**-3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,20,21,31,74,76,77,87,88,101,106,107; ს/კ:**01.12.21.001.538**- 2,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14, 16, 18,19,20,21, 37,38,39; ს/კ: **01.12.21.001.047**- 1,2,3,4, 25,26,27,28,29, 34,35,36,55) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 999 ძირი და საპროექტოდ დასარგავი: 1745 ძირი მარადმწვანე მუხა, 1745 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 1745 ძირი ჰიმალაის კედარი; ჯამში - 6 234 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს ($რზ-3 = 0.6 = 131\ 268.1\ m^2$).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

აქვე გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე განმცხადებელმა 01.12.21.001.212; 01.12.21.001.523 საკადასტრო ერთეულებისათვის და დაურეგისტრირებელი ტერიტორიისათვის უნდა წარმოადგინოს მწვანე ნარგავების აღწერისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა. ამასთანავე, დენდროლოგიურ გეგმაზე დატანილი თითოეული სექტორისათვის განსაზღვრული კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობთა ჯამი უნდა შეესაბამებოდეს,

როგორც დენდროლოგიურ საინფორმაციო დაფაზე, ასევე, განმარტებით ბარათში მითითებულ მონაცემებს.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასაშენებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





3274581	A.08	3274583	3274585	3274587	3274589	3274591	3274593	3274595	3274597	3274599	3274601	3274603	3274605	3274607	3274609	3274611	3274613	3274615	3274617	3274619	3274621	3274623	3274625	3274627	3274629	3274631	3274633	3274635	3274637	3274639	3274641	3274643	3274645	3274647	3274649	3274651	3274653	3274655	3274657	3274659	3274661	3274663	3274665	3274667	3274669	3274671	3274673	3274675	3274677	3274679	3274681	3274683	3274685	3274687	3274689	3274691	3274693	3274695	3274697	3274699	3274701	3274703	3274705	3274707	3274709	3274711	3274713	3274715	3274717	3274719	3274721	3274723	3274725	3274727	3274729	3274731	3274733	3274735	3274737	3274739	3274741	3274743	3274745	3274747	3274749	3274751	3274753	3274755	3274757	3274759	3274761	3274763	3274765	3274767	3274769	3274771	3274773	3274775	3274777	3274779	3274781	3274783	3274785	3274787	3274789	3274791	3274793	3274795	3274797	3274799	3274801	3274803	3274805	3274807	3274809	3274811	3274813	3274815	3274817	3274819	3274821	3274823	3274825	3274827	3274829	3274831	3274833	3274835	3274837	3274839	3274841	3274843	3274845	3274847	3274849	3274851	3274853	3274855	3274857	3274859	3274861	3274863	3274865	3274867	3274869	3274871	3274873	3274875	3274877	3274879	3274881	3274883	3274885	3274887	3274889	3274891	3274893	3274895	3274897	3274899	3274901	3274903	3274905	3274907	3274909	3274911	3274913	3274915	3274917	3274919	3274921	3274923	3274925	3274927	3274929	3274931	3274933	3274935	3274937	3274939	3274941	3274943	3274945	3274947	3274949	3274951	3274953	3274955	3274957	3274959	3274961	3274963	3274965	3274967	3274969	3274971	3274973	3274975	3274977	3274979	3274981	3274983	3274985	3274987	3274989	3274991	3274993	3274995	3274997	3274999	3275001	3275003	3275005	3275007	3275009	3275011	3275013	3275015	3275017	3275019	3275021	3275023	3275025	3275027	3275029	3275031	3275033	3275035	3275037	3275039	3275041	3275043	3275045	3275047	3275049	3275051	3275053	3275055	3275057	3275059	3275061	3275063	3275065	3275067	3275069	3275071	3275073	3275075	3275077	3275079	3275081	3275083	3275085	3275087	3275089	3275091	3275093	3275095	3275097	3275099	3275101	3275103	3275105	3275107	3275109	3275111	3275113	3275115	3275117	3275119	3275121	3275123	3275125	3275127	3275129	3275131	3275133	3275135	3275137	3275139	3275141	3275143	3275145	3275147	3275149	3275151	3275153	3275155	3275157	3275159	3275161	3275163	3275165	3275167	3275169	3275171	3275173	3275175	3275177	3275179	3275181	3275183	3275185	3275187	3275189	3275191	3275193	3275195	3275197	3275199	3275201	3275203	3275205	3275207
---------	------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------

3274581	A.08	3274583	3274585	3274587	3274589	3274591	3274593	3274595	3274597	3274599	3274601	3274603	3274605	3274607	3274609	3274611	3274613	3274615	3274617	3274619	3274621	3274623	3274625	3274627	3274629	3274631	3274633	3274635	3274637	3274639	3274641	3274643	3274645	3274647	3274649	3274651	3274653	3274655	3274657	3274659	3274661	3274663	3274665	3274667	3274669	3274671	3274673	3274675	3274677	3274679	3274681	3274683	3274685	3274687	3274689	3274691	3274693	3274695	3274697	3274699	3274701	3274703	3274705	3274707	3274709	3274711	3274713	3274715	3274717	3274719	3274721	3274723	3274725	3274727	3274729	3274731	3274733	3274735	3274737	3274739	3274741	3274743	3274745	3274747	3274749	3274751	3274753	3274755	3274757	3274759	3274761	3274763	3274765	3274767	3274769	3274771	3274773	3274775	3274777	3274779	3274781	3274783	3274785	3274787	3274789	3274791	3274793	3274795	3274797	3274799	3274801	3274803	3274805	3274807	3274809	3274811	3274813	3274815	3274817	3274819	3274821	3274823	3274825	3274827	3274829	3274831	3274833	3274835	3274837	3274839	3274841	3274843	3274845	3274847	3274849	3274851	3274853	3274855	3274857	3274859	3274861	3274863	3274865	3274867	3274869	3274871	3274873	3274875	3274877	3274879	3274881	3274883	3274885	3274887	3274889	3274891	3274893	3274895	3274897	3274899	3274901	3274903	3274905	3274907	3274909	3274911	3274913	3274915	3274917	3274919	3274921	3274923	3274925	3274927	3274929	3274931	3274933	3274935	3274937	3274939	3274941	3274943	3274945	3274947	3274949	3274951	3274953	3274955	3274957	3274959	3274961	3274963	3274965	3274967	3274969	3274971	3274973	3274975	3274977	3274979	3274981	3274983	3274985	3274987	3274989	3274991	3274993	3274995	3274997	3274999	3275001	3275003	3275005	3275007	3275009	3275011	3275013	3275015	3275017	3275019	3275021	3275023	3275025	3275027
---------	------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------

3274581	A.08	3274583	3274585	3274587	3274589	3274591	3274593	3274595	3274597	3274599	3274601	3274603	3274605	3274607	3274609	3274611	3274613	3274615	3274617	3274619	3274621	3274623	3274625	3274627	3274629	3274631	3274633	3274635	3274637	3274639	3274641	3274643	3274645	3274647	3274649	3274651	3274653	3274655	3274657	3274659	3274661	3274663	3274665	3274667	3274669	3274671	3274673	3274675	3274677	3274679	3274681	3274683	3274685	3274687	3274689	3274691	3274693	3274695	3274697	3274699	3274701	3274703	3274705	3274707	3274709	3274711	3274713	3274715	3274717	3274719	3274721	3274723	3274725	3274727	3274729	3274731	3274733	3274735	3274737	3274739	3274741	3274743	3274745	3274747	3274749	3274751	3274753	3274755	3274757	3274759	3274761	3274763	3274765	3274767	3274769	3274771	3274773	3274775	3274777	3274779	3274781	3274783	3274785	3274787	3274789	3274791	3274793	3274795	3274797	3274799	3274801	3274803	3274805	3274807	3274809	3274811	3274813	3274815	3274817	3274819	3274821	3274823	3274825	3274827	3274829	3274831	3274833	3274835	3274837	3274839	3274841	3274843	3274845	3274847	3274849	3274851	3274853	3274855	3274857	3274859	3274861	3274863	3274865	3274867	3274869	3274871	3274873	3274875	3274877	3274879	3274881	3274883	3274885	3274887	3274889	3274891	3274893	3274895	3274897	3274899	3274901	3274903	3274905	3274907	3274909	3274911	3274913	3274915	3274917	3274919	3274921	3274923	3274925	3274927	3274929	3274931	3274933	3274935	3274937	3274939	3274941	3274943	3274945	3274947	3274949	3274951	3274953	3274955	3274957	3274959	3274961	3274963	3274965	3274967	3274969	3274971	3274973	3274975	3274977	3274979	3274981	3274983	3274985	3274987	3274989	3274991	3274993	3274995	3274997	3274999	3275001	3275003	3275005	3275007	3275009	3275011	3275013	3275015	3275017	3275019	3275021	3275023	3275025	3275027
---------	------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------

3274581	A.08	3274583	3274585	3274587	3274589	3274591	3274593	3274595	3274597	3274599	3274601	3274603	3274605	3274607	3274609	3274611	3274613	3274615	3274617	3274619	3274621	3274623	3274625	3274627	3274629	3274631	3274633	3274635	3274637	3274639	3274641	3274643	3274645	3274647	3274649	3274651	3274653	3274655	3274657	3274659	3274661	3274663	3274665	3274667	3274669	3274671	3274673	3274675	3274677	3274679	3274681	3274683	3274685	3274687	3274689	3274691	3274693	3274695	3274697	3274699	3274701	3274703	3274705	3274707	3274709	3274711	3274713	3274715	3274717	3274719	3274721	3274723	3274725	3274727	3274729	3274731	3274733	3274735	3274737	3274739	3274741	3274743	3274745	3274747	3274749	3274751	3274753	3274755	3274757	3274759	3274761	3274763	3274765	3274767	3274769	3274771	3274773	3274775	3274777	3274779	3274781	3274783	3274785	3274787	3274789	3274791	3274793	3274795	3274797	3274799	3274801	3274803	3274805	3274807	3274809	3274811	3274813	3274815	3274817	3274819	3274821	3274823	3274825	3274827	3274829	3274831	3274833	3274835	3274837	3274839	3274841	3274843	3274845	3274847	3274849	3274851	3274853	3274855	3274857	3274859	3274861	3274863	3274865	3274867	3274869	3274871	3274873	3274875	3274877	3274879	3274881	3274883	3274885	3274887	3274889	3274891	3274893	3274895	3274897	3274899	3274901	3274903	3274905	3274907	3274909	3274911	3274913	3274915	3274917	3274919	3274921	3274923	3274925	3274927	3274929	3274931	3274933	3274935	3274937	3274939	3274941	3274943	3274945	3274947	3274949	3274951	3274953	3274955	3274957	3274959	3274961	3274963	3274965	3274967	3274969	3274971	3274973	3274975	3274977	3274979	3274981	3274983	3274985	3274987	3274989	3274991	3274993	3274995	3274997	3274999	3275001	3275003	3275005	3275007	3275009	3275011	3275013	3275015	3275017	3275019	3275021	3275023	3275025	3275027
---------	------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------

3274581	A.08	3274583	3274585	3274587	3274589	3274591	3274593	3274595	3274597	3274599	3274601	3274603	3274605	3274607	3274609	3274611	3274613	3274615	3274617	3274619	3274621	3274623	3274625	3274627	3274629	3274631	3274633	3274635	3274637	3274639	3274641	3274643	3274645	3274647	3274649	3274651	3274653	3274655	3274657	327465
---------	------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	--------

ბიზნეს-სფერო

**ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՄԱՐԶԻ ԱՎԱՅԻՑԱԾԱՆԿՈՒԹՅԱՆ
ԴԵՊԱՐՏԱՄԵՆՏ**

[illegible]

კრედიტის სახელწოდება და სტატი

სახელს დასახელება
მინის ნაკეთების განყოფილება

[illegible]

Tabela 1. Podaci o objektu	
Redni broj	Opis objekta
1	Objekat iz projekta
2	Podzemni objekti
3	Objekti iz projekta
4	Podzemni objekti
5	Objekti iz projekta
6	Podzemni objekti
7	Objekti iz projekta
8	Podzemni objekti
9	Objekti iz projekta
10	Podzemni objekti
11	Objekti iz projekta
12	Podzemni objekti
13	Objekti iz projekta
14	Podzemni objekti
15	Objekti iz projekta
16	Podzemni objekti
17	Objekti iz projekta
18	Podzemni objekti
19	Objekti iz projekta
20	Podzemni objekti
21	Objekti iz projekta
22	Podzemni objekti
23	Objekti iz projekta
24	Podzemni objekti
25	Objekti iz projekta
26	Podzemni objekti
27	Objekti iz projekta
28	Podzemni objekti
29	Objekti iz projekta
30	Podzemni objekti
31	Objekti iz projekta
32	Podzemni objekti
33	Objekti iz projekta
34	Podzemni objekti
35	Objekti iz projekta
36	Podzemni objekti
37	Objekti iz projekta
38	Podzemni objekti
39	Objekti iz projekta
40	Podzemni objekti
41	Objekti iz projekta
42	Podzemni objekti
43	Objekti iz projekta
44	Podzemni objekti
45	Objekti iz projekta
46	Podzemni objekti
47	Objekti iz projekta
48	Podzemni objekti
49	Objekti iz projekta
50	Podzemni objekti
51	Objekti iz projekta
52	Podzemni objekti
53	Objekti iz projekta
54	Podzemni objekti
55	Objekti iz projekta
56	Podzemni objekti
57	Objekti iz projekta
58	Podzemni objekti
59	Objekti iz projekta
60	Podzemni objekti
61	Objekti iz projekta
62	Podzemni objekti
63	Objekti iz projekta
64	Podzemni objekti
65	Objekti iz projekta
66	Podzemni objekti
67	Objekti iz projekta
68	Podzemni objekti
69	Objekti iz projekta
70	Podzemni objekti
71	Objekti iz projekta
72	Podzemni objekti
73	Objekti iz projekta
74	Podzemni objekti
75	Objekti iz projekta
76	Podzemni objekti
77	Objekti iz projekta
78	Podzemni objekti
79	Objekti iz projekta
80	Podzemni objekti
81	Objekti iz projekta
82	Podzemni objekti
83	Objekti iz projekta
84	Podzemni objekti
85	Objekti iz projekta
86	Podzemni objekti
87	Objekti iz projekta
88	Podzemni objekti
89	Objekti iz projekta
90	Podzemni objekti
91	Objekti iz projekta
92	Podzemni objekti
93	Objekti iz projekta
94	Podzemni objekti
95	Objekti iz projekta
96	Podzemni objekti
97	Objekti iz projekta
98	Podzemni objekti
99	Objekti iz projekta
100	Podzemni objekti



[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

